სოციალდემოკრატიული ფურცელი

ქუთაისი
კვირა, 18 დ[illegible]
190[illegible]
ნომერი 3 კაპეიკი. * [illegible]

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 5. ყოველ-დღიური გაზეთი. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიურ გაზეთ „სოციალდემოკრატიული ფურცლის“ რედაქცია იღებს გაზეთში დასაბეჭდათ ყოველგვარ განცხადებებს.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე 1 წკარი თორმეტი ნომერი ასოთი თითოჯერ დაბეჭდვა 10 კაპ., მეოთხე გვერდზე 5 კაპ.

მისამართი: ქუთაისი. ყურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“

სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა კავშირი ამით აცნობებს თავის წევრთ, რომ 20 ამ თვისათვის გაზეთებში გამოცხადებული საზოგადო კრება რკინის გზების გაფიცვის გამო გადადებულია შემდეგ დროისთვის, რაიც გამოცხადებული იქნება „სოციალ-დემოკრატიულ ფურცელში“ და „სხივში“.

რევოლიუცია გირჟაზე

თუ ერთ დროს რუსეთის კაპიტალიზმი სადავო საგანს წარმოადგენდა დღეს ის ცხადზე უცხადესი ფაქტია. კარგი ხანია რაც კაპიტალიზმი მოაწვა ფეოდალურ რუსეთის კარებს. თერთმეტი თვის ალყის შემდეგ კაპიტალიზმა აიღო 1854 5 წელს სევასტოპოლი, ამნაირათ წაართვა პირველი პოზიცია ფეოდალიზმს, და მედგრათ შემოიჭრა გლეხურ რუსეთში. და აი ამდღიდან იწყება ომი ხან ფარული, ხან ცხადი. ორ რუსეთს შორის, ახლათ დაბადებული კაპიტალისტური რუსეთი ებრძვის ძველს ფეოდალურ რუსეთს; პირველის მხარეზე იყო ისტორია, მეორეს ხელში ძალა ნივთიერი, ძალა პოლიტიკური. ამ ორ უფრთვან რუსეთს სათავეში უდგას კიდევ ძველი თვითმპყრობელი მთავრობა, და თუ მას სურს იმთავროს და იმეფოს, ის უნდა გაუმკლავდეს დანარჩენ სახელმწიფოს რომელიც შეიარაღებულია მსხვილი წარმოების ნაყოფით. მაშ რუსეთს სჭირია მრავალი ჯარი, ძლიერი ფლოტი, რკინის გზები სტრატეგიული მიზნით. ყველა ესენი მსხვილი წარმოების შედეგია ! აი რუსეთიც უღებს კარს კაპიტალიზმს და მზრუნველობს მის გაფუჩქნა-აყვავება. ზემაგრამ იმავე დროს თვითმპყრობელობა ავიწროვებს მის ზრდას თავისი არსებობით ვინაიდან კაპიტალიზმი ! დაფეოდალიზმი ორი შეუთავსებელი ცნებაა. ამ არანორმალურ პირობებში აღზდილმა რუსეთის კაპიტალიზმმა, ვერ შექმნა საკმაო ეროვნული კაპიტალი. მაგრამ რა გზა გაქვს ყველა ფერი უნდა დაგირავო და ოფზარბაზან-ხომალდები უნდა იყიდო როდესაც შენი მეზობელი იარაღდება. ასეთია ლოგიკა მილიტარიზმის. და აი რუსეთის მთავრობამაც მიყო ხელი ესესხ, როდესაც ამის საშიალება შიგნით მოესპო, ის საზღვარგარეთელ ბანკირებს უწვდის ხელს, ვექსილს უხვათ იძლევა და ან საგებლის სიდიდეს რაში მოერიდება, 300 მილ. მანათი წლიურათ პროცენტი მოდის დღესდღეობით. აი ამნაირათ შეტოპა რუსეთის მთავრობამ ვალების მორევში აი როგორ გაებაა ის ბერჟუა-ბანკირების ქსელში. პირველათ ძლიერ უხვათ აძლევდენ ესესხ მაგრამ ყველაფერს თავი ბოლო აქვს და რუსეთის მთავრობისადმი ნდობამაც ძლიერ იკლო კრედიტი კლებულობს, კრედიტის აღდგენა უნდა: პაწაწა იაპონიასან ომი მი დამარცხება, მიწასთან ასწორება, რუსეთის ია რალის სიძლიერის გამოჩენა და კრედიტის აღდგენა, აი რა დაწერა მთავრობამ თავის დროშაზე, მაგრამ სასტიკათ მოსტყუვდა. პაწაწა იაპონიამ სასტიკათ შემუსრა ბუმბერაზი რუსეთის მთავრობა და მთელ კაცობრიობას ანახვა მისი უძლურება' და კიდევ მეტათ დასცა მისი ნდობა. რა გამოირკვა? გამოირკვა ის რომ კაპიტალს მეგობრობა არ ცოდნია' რუსეთის, მეგობრათ სახელმწიფოს კაპიტალისტები მაგრათ უკრავენ ქისას თავს თავის მეგობრისთვის; იაპონელებს კი დიდი სიამოვნებით ასესხებენ ხელმე. ამნაირათ თვითმპყრობელ მთავრობისადმი ნდობა ანდათან უარესდება. ოქტომბრის გაფიცვამ თავზარი დასცა ბირჟას, მთავრობას ნდობა კიდევ ეკარგა, ბირჟაც ეკარგა, მთავრობა თხოულობს სესხს, ბირჟა მოითხოვს რეფორმას, გინდა ფულს? მოიტა კონსტიტუცია, არაა კონსტიტუცია, არაა ფული. აი როგორი დილემა წამოუყენა ოქტომბრის რევოლიუციამ მთავრობას. ოქტომბერში ბირჟა გარევოლიციონერდა, მან გარკვეული პოზიცია დაიკავა. ოქტომბრის რევოლიუციაში, ის პირისპირ შეხვდა თვითმპყრობელობის მთავრობას, და მათ შორის მოლაპარაკება გაიმართა. მოლაპარაკეაში შუა კაცი იყო საჭირო და აი რევოლიუციის ტალღებმაც, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსტყორცნა ძველი ბირჟის მაკლერი, რომელმაც თავის დროშაზე დაწერა: რეფორმა ხალხს ნდობა მთავრობას, აღდგენა კრედიტს, სიმშვიდე ბირჟას! მოკლეთ რომ ვთქვათ, რევოლიუციის მოწესრიგება, აი რა აკისრა ვიტტემ. და აი 17 ოქტომბერს გამოცხადდა რომ პორტსმუტის გმირი შეუდგა თავისი პროგრამის ასრულებას, აგრამ ამაოთ; პროლეტარიატი ხომ რევოლიუციის შვილია, რევოლიუციამ კი კომპრომისი არ იცის, პროლეტარიატიც არ ჩერდება შუა გზაზე, პროლეტარიატი იბრძვის, ის ლამობს მიიყვანოს რევოლიუცია თავის ლოდიკურ ბოლომდე. ის მეთაურობს ხალხის მოძრაობას და იმის სახელით უცხადებს მთავრობას უნდობლობას; მაშ აღარ აქვს ხალხს მთავრობისადმი ნდობა და ვიტტეს გეგმა ნაცარმტვერათ იქცა, ოქტომბრის რევოლიუციასთან მოყვა ნოემბრის გაფიცვა, ნოემბრისას დღევანდელი საერთო რუსეთის გაფიცვა. რევოლიუციის ტალღა შეეტაკა ბირჟას და იქიდან კიდევ უფრო ძლევ მოსილათ გადმოიარა სახალხო რევოლიუციაში. თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოში ბირჟა, ეს საუკეთესო ბარომეტრია პოლიტიკური ამინდის გამოსაზომათ. რამდენათ იწევს ზევით რევოლიუციონური ტალღები, იმდენათ ეცემა. ბირჟა; მისი დაცემა რევოლიუციის გამარჯვებაა, ბირჟის რევოლიუცია ეს საზოგადო რევოლიუციაა. რას ლაპარაკობს ბირჟა? უკანასკნელი ცნობით მთავრობის 100 მანეთიანი ვექსილი (სახელმწიფო რენტა) 74 მანეთათ იყიდება. ეს იმას ნიშნავს რომ ის კოტრდება. პოლიტიკურათ და ზნეობრივათ გაკოტრებული მთავრობა ნივთიერათ გაკოტრდა. კოტორია, არ ენდოთ მას, არ დაივიწყოთ დღეს რევოლიუციაა, „შეპირება და ვექსილი კი არაა საჭირო, ბაჯაღლო ოქროო“. აი რას ლაპარაკობს დღეს ბირჟა. დეკემბრის რევოლიუციაა თავზარს სცემს ბირჟას, იქაც რევოლიუციას იწვევს და ბირჟაც კი ერთი ორათ უხდის ნაცვლობას. ტყუილია მათი დალალის ინბაზობა. პრემიერი თავისი კიდეპანით უგზო-უკვლოთ დაეხეტება რევოლიუციის მორევში, რომლის აზვირთებული ტალღები დღეს უუხვაი სატიკათ გარიყავს ნაპირზე. მოლაპარაკება მთავრობასა და ბირჟას შუა დამარცხდა. მაშ გაუმარჯოს რევოლიუციას.

პროლეტარი და გლეხი.

დღევანდელ რევოლიუციის ულელში პროლეტარიატთან ერთათ შებმულია წვრილი გლეხობაც. პროლეტარიატის და წვრილი გლეხობის ბედ-ილბალი მჭიდროთ არის შეკავშირებული და ამიტომ საერთო ბრძოლით უნდა მოიპოვონ მათ საკუთარი ცხოვრება. სხვადასხვა პარტიები ცდილობენ' გლეხობა პროლეტარიატს დააშორონ, და გლეხობას პირდებიან: რისი პროლეტარიატი? აქეთ წამოდით, ჩვენ მიგიყვანთ პირდაპირ სამოთხის კარებზეო.

სიტყვით შესაძლებელია გლეხობას ბევრი ქომაგი ყავდეს, მაგრამ საქმით მისი ერთათ ერთი ამხანაგი პროლეტარიატია. გლეხობას მხოლოთ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს და პროლეტარიატის. პროლეტარიატი, დღევანდელ პირობებში არის გაყვლეფილი; გლეხიც გაყვლეფილია; პროლეტარიატი არის შრომის წარმომადგენელი; გლეხობაც შრომის წარმომადგენელია; პროლეტარიატის მარჯვენაზე დამყარებულია დღევანდელი ცხოვრება; გლეხის მარჯვენა კვებავს დღეს კაცობრიობას. ორივე ესენი შრომის შვილნი არიან და ამიტომ შრომის ინტერესი ორივეს ინტერესია, შრომის გაბატონება ორივე ამათთვის ერთნაირათ სასარგებლოა, დღევანდელ ცხოვრებაში მრეწველობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს მეურ-

ნეობაზე რადგანაც მსხვილი წარმოების წესი ხელს უწყობს პროლეტარიატის გაერთიანებას, სოლიდარობას, გათვითცნობიერებას და კლასობრივი გრძნობისა და შეგნების განვითარებას, ამიტომ დღეს პროლეტარიატი გაცილებით უფრო მეტ ძალას წარმოადგენს, ვიდრე ისტორიულათ გლეხობა, გაცილებით უფრო ხნიერია, ვიდრე პროლეტარიატი. მრავალი საუკუნოების განმავლობაში იტანჯებოდა გლეხობა და ამან განავითარა მასში სული უკმაყოფილებისა, მაგრამ ის მუდამ მიწას ჩაჩერებოდა, მისი აზროვნება მიწისაკენ იყო უბთავრესათ მიქცეული და ფართო პოლიტიკურ გათვითცნობიერებას ის მოკლებული იყო. ის მუდამ გრძნობდა თავის გაჭირვებას, ყოველთვის ხედავდა ის თავის მწარე ხვედრს, მაგრამ მიზეზი საზოგადოებრივი მოუწყობლობისა მუდამ მისი შეგნების გარეშე რჩებოდა. ხშირათ ამხედრებულა გლეხობა, მიუღეწ-მოულეწია გარშემო ყოველისფერი, მაგრამ არსებული წყობილება ცარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობისა უცვლელათ დაუტოვებია. ხშირათ მას მეფეც კი გადმოუგდია ტახტიდან, მაგრამ მის ალაგას მეორე მეფე აუყვანია, იმგვარისავე უფლებებით აღჭურვილი. უკიდურესი გაბრაზების დროსაც კი გლეხობა თავისი გაჭირვების მიზეზს არსებულ წყობილებაში არა ხედავდა, არამედ ამა თუ იმ წოდებაში ან პიროვნებაში. დღემდე გლეხობა თვისი შეუგნებლობისა გამო საუკეთესო ბურჯი იყო მანარქიული წყობილებისა; არათუ მონარქიულს, ლესპოტიურ წყობილებასაც კი ურიგდებოდა გლეხობა, ოღონდ ის მაძღარი ყოფილიყო და მისთვის სულ ერთი იყო, როგორი იქნებოდა მისი ბრძანებელი მთავრობა. ჩვენმა წვრილმა გლეხობამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ; მან შეიგნო, რომ მისი ცხოვრების მოუწყობლობის მიზეზი არსებული რეჟიმია და ამიტომ ერიში პირდაპირ თვითმპყრობელობაზე მიიტანა: ძირს თვითმპყრობელობა, ძირს ბიუროკრატია, გაუმარჯოს თავისუფლებას და ხალხის წარმომადგენლობასო, აი როგორია დღეს ჩვენი გლეხობის შეგნება, მერე ვინ მიიყვანა გლეხობა ამგვარი შეგნების კარებზე? ვინ და პროლეტარიატმა, თუმცა პროლეტარიატი გლეხობაზე გაცილებით გვიან დაიბადა, პროლეტარიატი ახალი დროის შვილია; მაგრამ მან გაცილებით მეტი შეგნება გამოიჩინა, ვიდრე გლეხობამ. ცხოვრებამ პროლეტარიატში თანდათან განავითარა მშფოთარე, სარევოლიუციო სული; პროლეტარიატმა მალე შეიგნო, რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ყოველთა შეუძლებელია ისე, თუ თვით ცხოვრება არ შეიცვალა, თუ არ მოისპო არსებული მთავრობა და მის ალაგას გაყვლეფილი მუშათა კლასი არ გაბატონდა, და ამიტომ პროლეტარიატი შეუდგა ბრძოლას. დღეს გლეხობაც იბრძვის. თუ გლეხობამ დღეს თვალები აახილა, აახილა პროლეტარიატის წყალობით; თუ გლეხობამ დღეს სინათლე იხილა, ეს სინათლე მასში პროლეტარიატმა გამოიყვანა, და ამიტომ გლეხობამ ბოლომდე უნდა იბრძოლოს პროლეტარიატის მეთაურობის ქვეშ, თუ უნდა რომ სასურველი კეთილდღეობა მოიხვეჭოს. გლეხობა დიდხანს იტანჯებოდა, დიდხანსაც იბრძოდა, მაგრამ მარტო თვისი ძალღონითა და შეგნებით გლეხობა ვერ გამოვიდა შესაფერ გზაზე, სანამ ის პროლეტარიატმა არ გამოიყვანა, ამიტომ გლეხობის გამარჯვება უპროლეტაროთ ყოვლათ შეუძლებელია. გლეხობა გაიმარჯვებს პროლეტარიატის მეთაურობით, ან სულ ვერ გაიმარჯვებს.

მიწის სოციალიზაცია, რომლითაც ზოგიერთი პარტიები ცდილობენ გამხდარი გლეხობის გაუქმებას, გლეხს ვერ გამოიყვანს გაჭირვებისაგან, რადგანაც მიწის სოციალიზაცია არა თუ ვერ მოსპობს, ვერც კი შეაფერხებს კაპიტალისტურ წარმოებას, ამიტომ ყველა ტანჯულთა ყურადღება კაპიტალისტური წყობილებისა და კაპიტალისტური საზოგადოების დამხობისაკენ უნდა იყოს მიმართული სოციალიზმი ერთათ ერთი წყობილებაა, რომელიც მოსპობს როგორც წვრილი გლეხობის, ისე პროლეტარიატის ცარცვა-ყვლეფას. სოციალიზმის დამყარება ერთის ნახტომით შეუძლებელია; შესაძლებელიც რომ იყოს, სოციალიზმი ნიშნავს ერთგვარ ფორმას წარმოებისას და წვრილი გლეხობა უნდა მიეჩვიოს ამ წარმოებას. უნდა გაიწრთვნას სოციალისტური წარმოებისათვის, ამისათვის კი საჭიროა კაპიტალიზმის განვითარება როგორც ქალაქში ისე სოფლათ, როგორც მრეწველობაში ისე მეურნეობაში. კაპიტალიზმის განვითარებაში ჩვენი მოწინააღმდეგენი მარტო პროლეტართა გაჭირვებასა და ბურჟუაზიის კეთილდღეობას ხედავენ, ის კი ავიწყდებათ, რომ კაპიტალიზმის განვითარება მარტო ბურჟუაზიის კეთილდღეობას კი არ ნიშნავს, არამედ ბურჟუაზიის დამხობის მოახლოებასაც. კაპიტალისტური განვითარება აძლიერებს, აერთიანებს პროლეტარიატს, აღრმავებს მის ბრძოლას და ამით აახლოებს სოციალიზმსაკ. კაპიტალიზმის განვითარება აუცილებლათ საჭიროა სოციალიზმის დასამყარებლათ; რადგანაც სოციალიზმის დამყარება ერთბაშათ შეუძლებელია და ამისათვის დრო და მომზადებაა საჭირო, ამიტომ ნაცვლათ დღევანდელი თვითმპყრობელობისა საჭიროა ისეთი წყობილება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს წვრილ გლეხობისა და პროლეტარიატის ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაწრთვნას. ამგვარ წყობილებას წარმოადგენს დემოკრატიული რესპუბლიკა. აი საით მიაქანებს დღეს თავის სარევოლიუციო დროშას პროლეტარიატი. აი საით უნდა გასწიოს გლეხობამ. წვრილმა გლეხობამ კარგათ უნდა გაითვალისწინოს, რომ ცხოვრების გზაზე დაჩაგრული და გაუყვლეფავი კლასი ერთ ნაბიჯსაც ვერ წადგამს წინ უბრძოლველათ; ბრძოლაში კი იმარჯვებს რეალური ძალა და არა პატყელი ენა და დიადი სურვილები ერთათ ერთ რეალურ ძალას დღევანდელ სარევოლიუციო ბრძოლაში წარმოადგენს პროლეტარიატი, მხოლოთ ის იბრძვის მუშტით, იბრძვის ქუჩებში, მხოლოთ ის ღვრის სისხლს, სხვები კი ენას ლესამენ, სურვილებს აფრენენ ჰაერში და თავის თავსაც და სხვებსაც არწმუნებენ ვიბრძვითო. დღეს ცხადია ყველასათვის, რომ თვითმპყრობელობის დღენი დათვლილია, ბედის მწერალმა უკვე მოაწერა ხელი ორთავიანი არწივის სიკვდილის განაჩენს. ყოველივე ეს მოახდინა პროლეტარიატმა; ამიტომ ყველა დაჩაგრულნი, ყველა გაყვლეფილნი პროლეტარიატს უნდა გაყვეს უკან, წვრილი გლეხობაც, თორემ სხვების დაპირება მას სამოთხის კარს ვერ მიიყვანს.

სასოფლო თვითმართველობა.

პროექტი.

(გაგრძელება. *)

17. გარდა საბჭოს გარდწყვეტილებათა სისრულეში მოყვანისა, სასოფლო გამგეობა ვალდებულია: 1) წარუდგინოს საბჭოს ყოველივე საქმის შესახებ თავისი დასაბუთებული აზრი, 2) წარუდგინოს საბჭოს ხარჯთაღრიცხვა, ესე იგი თითეული საქმე რა ხარჯს თხოულობს და როგორ უნდა განაწილდეს ყველა ეს ხარჯი ერთათ საზოგადოებისა სოფელთა შორის და სოფელში—მცხოვრებთა შორის, 3) წარუდგინოს მასვე ანგარიში, თუ როგორ შეასრულა საბჭოს თითეული დადგენილება, წინა სხდომაზე (სესიაზე) მიღებული, 4) შეეკრას პირობით გარეშე პირთ და იქონიოს მიწერ-მოწერა სხვა დაწესებულებებთან და მოხელეებთან, 5) შეადგინოს პოლიციის მოხელეთათვის ინსტრუქცია და წარუდგინოს საბჭოს დასამტიკებლათ, ადევნოს თვალ-ყური ამ მოხელეთ, მოსთხოვოს მათ პასუხი და, თუ საჭიროება მოითხოვს, გადააყენოს სამსახურიდან.

18. ყოველივე რთული საქმის საწარმოებლათ საბჭოს შეუძლია აირჩიოს განსაზღვრულ ვადით ცალკე კომისია, რომლის წევრათ შეიძლება დაინიშნოს გარეშე პირიც, უკანასკნელის თანხმობით, მაგალითათ, სკოლის შენობის ასაგებად და სასკოლო საქმის მოსაწყობად შეიძლება არჩეულ იქნეს ერთი კომისია, გზების გაკეთებისთვის მეორე და სხვა.

19. სასოფლო საბჭო აირჩევს აგრეთვე ერთი წლის ვადით სარევიზიო კომისიას სამ პირთაგან. ეს კომისია ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს გამგეობისა და კომისიების მოქმედებას და წარუდგინოს საბჭოს ანგარიში.

შენიშვნა: წარმომადგენელთ, გამგეობას და სხვა არჩეულ პირთ არავითარ მთავრობისგან დამტკიცება არ ეჭვრება.

20. საბჭოსა, გამგეობა, კომისიასა და სხვა დაწესებულებებში სჯა-ბაასი, მიწერ-მოწერა და ქალალდების შედგენა უნდა იყოს ხალხისათვის გასაგებ ენაზე.

21. ყოველივე ხარჯი, რომელსაც საზოგადო საქმე იწვევს, წინდაწინვე უნდა იქნეს გამოანგარიშებული და გაწერილი მცხოვრებთა შორის შეძლების კვალობაზე.

22. ხარჯის აკრეფა საბჭოს შეუძლია მიანდოს ან გამგეობას ან ცალკე წარმომადგენელთა შორის ამორჩეულ კომისიას ანუ პირს. ყოველივე გადასახადი, მცხოვრებისგან შემოტანილი, უნდა ჩაიწეროს ცალკე საამისო წიგნში, და შემომტანს მიეცეს კვიტანცია.

23. სოფელში მყუდროების დასაცავად და პოლიციის მოვალეობის ასასრულებლათ თითეული სოფელი ცალკე ირჩევს ერთს ასისთავს და ერთს ან ორს მის თანაშემწეს. ესენი ვალდებულნი არიან: 1) მიიღონ ზომები, რომ არაფერი ბოროტ-მოქმედება მოხდეს, 2) აღმოაჩინონ ბოროტ-მომქმედნი, დაიჭირონ და სამართალში მისცენ, 3) აასრულონ გამგეობის ყოველივე მინდობილება. პოლიციის მოხელენი ეპორჩილებიან სასოფლო თვით-მართველობას და იმის გამგეობას.

24. რომელიმე საერთო საქმის მოსაწყობათ ორს ან მეტს სასოფლო საზოგადოებას შეუძლიათ შეკრან ურთიერთ შორის კავშირი, მაგალითათ, სკოლის ან საავათმყოფოს მოსაწყობად. ამის შესახებ მოკავშირე საბჭოებმა უნდა გადასწყვიტონ, თუ რა უფლება ექნება თითეულ საზოგადოებას და რა ხარჯი შეხვდება მას. ამის შემდეგ გამგეობები ადგენენ საერთო ოქმს და აწერენ ხელს.

25. მთელი მაზრის საერთო საქმეების გადასაწყვეტათ და ერთნაირი ზომების შესამუშავებლად იკრიბებიან დროგამოშვებით, წელიწადში ორჯელ მაინც, ყველა საზოგადოებათა წარმომადგენელი ისე, რომ თითეულ საზოგადოებისგან იქნეს ერთი წარმომადგენელი (გამგეობის თავმჯდომარე ან წევრი)

26 საზოგადოების წარმომადგენელი და საბჭოს თავმჯდომარე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას უსასყიდლოთ. გამგეობის წევრთ და

*) იხ. „სოც. დემ ფურ“. № 4.

თავმჯდომარეს, აგრეთვე ცალკე კომისიებს, თუ მათი სამსახური უსასყიდლოთ მოუხერხებელი შეიქნა, ჯამაგირს უნიშნავს და ამ ჯამაგირს განსაზღვრავს სასოფლო საბჭო უსათუოთ ფარული კენჭის ყრით; მაგრამ თუ ჯამაგირის დანიშვნის წინააღმდეგი აღმოჩნდა დამსწრე წარმომადგენელთა ერთი მესამედი ან და ერთმა მესამედმა მოითხოვა უფრო მცირე ჯამაგირის დანიშვნა, მაშინ ეს საგანი უნდა გადაეცეს საბოლოო გარდასაწყვეტათ საზოგადოების ყველა სოფელთა ერთ საზოგადო კრებას იმ პირობით, რომ აქაც ფარული კენჭი ეყაროს.

27. პოლიციის მოვალეობის აღმასრულებელთ ასისთავს და იმათ თანაშემწეთ ჯამაგირს უნიშნავს, თუ უამისობა არ მოხერხდა, ის სოფელი, რომელთაც ისინი აირჩია.

ახალი ამბები.

*** დ. ზესტაფონი. ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციამ ტელეგრაფით მიიღო თუ არა რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეების პოლიტიკური გაფიცვის ამბავი იმ წამსვე ყვირილის დეპოს მუშებმა მუშაობა შეაჩერეს, მოგროვდენ და მით მხარი დაუჭირეს რუსეთის ამხანაგებს. იმავე დღეს შორაპნის დეპოს მუშებმაც შეწყვიტეს მუშაობა და მიტინგი გამართეს. მიტინგზე პირველ ყოვლისა წარმოითქვა სიტყვა თუ რისთვის იფიცებიან და შემდეგ კი „მარსელიეზის“ სიმღერით სადგურზე თავი მოიყარეს.

მეორე დღეს ყვირილის თეატრში კრება დანიშნეს. კრების მიზანი იყო დაბა ყვირილაში ამ პოლიტიკური გაფიცვის ხელმძღვანელი ბიუროს და სანოვაგის კომისიის არჩევა, ბიურო და კომისიაც განსაკუთრებით დეპოს მუშებიდან და რკინის გზის მოსამსახურეებიდან არჩეულ იქნა. მონაწილეობას ღებულობს და ბიუროსთან ერთათ გაფიცვას ხელ მძღვანელობას უწევს მუშათა ორგანიზაციის „უმცირესობის“ და „უმრავლესობის“ წარმომადგენლები.

კომისიის და ბიუროს კრებები დღეში ორჯერ იმართება. ბიუროს წევრები მორიგეობით დღე და ღამ განუწყვეტლივ სადგურზე არიან.

სანოვაგის კომისიამ დაარსებისათანავე როგორც ყვირილის ისე შორაპნის ვაჭრები და აგრეთვე სადგურზე დარჩენილი ვაგონები ჩამოიარა. ყველა სანოვაგე რაც კი იყო, ჩაიწერა და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ სანოვაგე მკვიდრთ 10-15 დღეს ეყოფა.

*** პოლიტიკურმა გაფიცვამ ყვირილა-შორაპნის მუშები და გარშემო გლეხკაცობაც ყალყზე დააყენა, ყველა დიდ ფაცა-ფუცშია. ყველა ამ პოლიტიკურ გაფიცვის შედეგათ საერთო აჯანყებას მოელის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ და სავალალოთ გამოჩნდენ ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც ამ საშინელ და საოცარ დროს ძველებურათ, თავადურათ, სანადიროთ დაიარებიან. ამ რამდენიმე დღის წინეთ ამ ვაჟბატონებს ნადირობის საღერღელი აშლოდათ და დაჟინებით აჯამეთამდის მატარებელი მოითხოვეს, რაზედაც გაფიცვის ხელმძღვანელ ბიუროს ერთმა წევრმა უარი უთხრა და დღევანდელი მდგომარეობა დაუსურათხატა. მის სიტყვებს ყველა იქ მყოფი მონადირეები დაეთანხმენ. ამ დროს ჭიათურიდან დ. ლანჩხუთში მიმავენებდენ ერთ ამხანაგს და მონადირეებმა სურვილი განაცხადეს, რომ ლანჩხუთამდის მცხედარი გაეცილებიათ. სურვილი ასრულებულ იქნა, მაგრამ აჯამეთში მივიდენ თუ არა სანადიროთ ტყეში გადაუხვიეს. საღამოს მონადირეების ერთი ნაწილი დამთვრალ-გალეშილები დაბრუნდენ. სირცხვილი მაგათ.

*** გუშინ დილით ქუთაისის ქუჩებში მუსიკით და სიმღერით კაზაკები გამოვიდა.

*** დღეს, 18 დეკემბერს, ნაშუადღევის ოთხ საათზე ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შენობაში დანიშნულია კრება ქუთაისის და სოხუმის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების მიმდინარე საქმის გასარჩევათ და აგრეთვე ხაზინადრის ასარჩევათ.

*** ქუთაისის ხულიგანები ხმას ავრცელებენ, თითქო მოსკოვში და სხვაგანაც ფოსტა დელეგრაფის მოხელეები უკვე შეუდგენ საქმეს, დროა ქუთაისშიაც შევუდგებოდეთო. არ დაუჯეროთ, ეს პროვოკაციაა! როგორც თფილისიდან ჩამოსულმა ფოშტა-ტელეგრაფის ბიუროს დელეგატმა გადმოგვცა, ბიუროს გადაუწყვეტია გაფიცვა სასტიკათ განაგრძოს.

ხოვნის რაიონი.

მტრების გულის გასახარელათ ამხანაგები ერთი მიზნის მისაღწევათ გამსჭვალულნი დიდი ხანია განშორებული ვიყავით ერთმანეთისგან და ნაცვლათ სიყვარულისა და ძმური მოქმედებისა ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებდით და დრო გამოშვებით უმიზეზოთ ერთი მეორის მოქმედებას კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებდით და მით პროლეტარიატის დაუძინებელ მტერს ვახარებდით! მაგრამ დღეს დადგა ნეტარი დრო; ამხანაგებმა შეიგნეს რომ ჩვეგათიშვა, მუშათა პარტიის შუაში გაგლეჯა და ერთმანეთ შორის წეწვა-გლეჯა პროლეტარიატის ღალატია, პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლის შეფერხებაა, რისთვისაც მოინდომეს შერიგება შეთანხმება და ბევრ ალაგს კიდეც შერიგდენ და ძმურათ იწყეს მტრების წინააღმდეგ ბრძოლა! ჩვენც ხონშიაც მალე შევრიგდებით, მალე შევთანხმდებით, მალე გავერთიანდებით, მალე დღეს დაქსაქსულ ძალას შევაკავშირებთ და ძმური იერიშით წავალთ წინ თვითმპყრობელობის ნაშთების სრულიათ მოსასპობლათ, რეაქციონერთა დასათურგნავათ და ახლათ გამოჩეკილ ბურჟუაზიულ პარტიების ჩასაქოლავათ! მაშ ამხანაგებო, მალე შევრიგდეთ, მალე გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი; გაუმარჯოს ჩვენს შერიგებას, გაუმარჯოს ჩვენს სოლიდარულ მოქმედებას, გაუმარჯოს ჩვენ თავგანწირულ ბრძოლას მიმართულს უსამართლობის ამოსაფხვრელათ.

ალია ბასტაძე.

დეპეშები.

თფილისში სრული სიმშვიდეა. რამდენიმე აფიცერმა სამსახურს თ ვი დაანება.

ბათუმიდან კაპიტანი ზედგინიძე ჯარების გადამყვანის გამგეს თფილისში უგზავნის შემდეგ დეპეშას: „რუსეთში საზოგადოების გემების მიმოსვლა მისგან დამოუკიდებული მიზეზებისგამო შეწყვეტილია. გთხოვთ განკარგულებას, რომ სათადარიგო ჯარის გადაყვანა შევაჩეროთ“.

განცხადება.

ქუთაისას კომიტეტის რ. ს.-დ. მ. ბ.

ამ უკანასკნელ დროს ჩყენ ქალაქში ხდება საშინელი უსამართლობა და საინტერესოა ვიცოდეთ სანამდი გაგრძელდება ეს უკულმართობა. საქმე იმაშია, რომ ვიღაცას განკარგულებით კვირაობით აღარ იყიდება ადარც ხორცი და აღარც სოფლელებს უშობენ სავაჭროთ ქალაქში. ამნაირათ მთელი ქალაქის მცხოვრებლები მოკლებული არიან შეძლებას კვირაობით იშოვნონ რამე სანოვაგე ბაზარში ან საყასპოში. კაცმა არ იცის ვისი მეოხებით ხდება ეს მცხოვრებლების შეწუხება. ზოგიერთები ამბობენ, რომ ასეთი განკარგულება კომიტეტმა მოახდინაო, მაგრამ საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ კომიტეტს არამც თუ არაფერი ასეთი არ გამოუცხადებია ამის შესახებ, არამედ სრულიათ ეწინააღმდეგება ასეთ მოქმედებას.

ქუთ. კომ. რ. ს.-დ. მ. ბ.

რეზოლიციები ბილეგული რუსეთის პირის და ბოსფორის ორგანიზატორების მიერ.

1) მივიღეთ და მხედველობაში, რომ ადგილობრივათ საჭიროა სახალხო სახლი, რადგანაც ქალაქის კლუბი ჩვენთვის მიუწდომელია, რისათვის ვადგენთ რომ დაუყოვნებლივ იყვეს მოწყობილი ეს სახალხო სახლი და მასთან აუცილებლათ სამკითხველოც.

2) რადგანაც ადგილობრივი დემოკრატიული დაწესებულებები ვერ არიან რიგიანათ მოწყობილი, ამისთვის ვაძლევთ წინადადებას ჩვენს ხელმძღვანელ ორგანიზაციას მოგვიწყოს ნამდვილი დემოკრ. რევ. თვითმართველობა.

3) დიდი ხანია მას აქეთ, რაც მეფის მთავრობასთან გავსწყვიტეთ ყოველივე კავშირი. გამოუცხადეთ მას მედგარი ბრძოლა; სახელმწიფო გადასახადის და სალდათობის მიცემა კი გააძლიერებს მას. ამისათვის ჩვენ ვადგენთ: ერთი გახვრეტილი ფარა არ მივცეთ მეფეს და არც ერთი სალდათი მის მთავრობას.

4) შედგეს ადგილობრივათ წიგნი-ელი რაზმი. მოწეს-რიგება მიენდოს ხალხის მიერ არჩეულ პირებს.

5) იარაღის შესაძენათ მოიკრიფოს ფული სამხ. ტეხ. კომისიის მიერ რაც შეიძლება ძლიერ საჩქაროთ.

6) რადგანაც ამ ბოლო ხანებში ხშირია სახელმწიფო-საეკლესიო მიწების და ტყეების დატაცება და უთავბოლოთ დანაწილება, ამ მიწების მოწეს-რიგებას დროებით ვანდობთ ჩვენ მიერ ამორჩეულ პირებს.

7) ვავალებთ სოფელ ჯიმისტაროს ორგანიზატორებს, ეს სოფელი დაუკავშიროს ჩვენს ორგანიზაციას, რადგან ამას არავითარი პირობები ხელს არ უშლიან, მეორე მხრით კი დიდათ სასურველია საქმის ვითარებისათვის.

8) მოვითხოვთ ქალაქის გამგეობისაგან, რომ რუის პირში და ჭომაში დაინიშნოს მილიციონერთა ერთი პოსტი.

აგრეთვე მოგვეცეს ჩვენც უფლება ახალი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

სამღვდელოების კრების რეზოლიუციები. *)

8 დეკემბერს. სასწავლებელი (სასულიერო) მომავალ ენკენისთვიდან დღეიდან დაკეტილათ არ ჩაითვლება და უკეთუ სწავლა გაგრძელდა. უნდა იქმნეს ახალ პროგრამაზე შესანახათ ახალი წყარო არ ეძლევა; მხოლოდ ეძლევა ის, რაც ამ ენკენისთვიდან არის დატოვებული ხაზინაში სამღვდელოებისგან ამ თვის დამლევამდე, და ის ფული, რომელიც სასწავლებელში ინახება დღეს და გადადებული იყო ეკკლესიის ასაშენებლათ

ვინაიდან საქალებო სასწავლებელი დროებით დაიხურა, ამიტომ ის ფულები, რომელიც სამთლის ქარხნიდან მიდიოდა სასარგებლოთ ზემოხსენებულ სასწავლებლისა და ის ფულები, რომელიც მიდიოდა საეპარქიო კანცელარიის სასარგებლოთ და საეკლესიო ხაზინაში, დაურიგდეს თანასწორათ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას, ვინაიდან იგინი დღევანდელ დღეს უკიდურესათ გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობაში არიან.

7 დეკემბერს. უერიდებით რა ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას უნდობლობას აცხადებთ ვიტტეს და მის პოლიტიკას; მოვითხოვთ დაუყონებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება საყოველთაო ბირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, განურჩევლათ სქესისა და სარწმუნოებისა: საყოველთაო, სრულს ამნისტიას. დაუყონებლივ ახსნილ იქნას საომარი და საალყო წესები სადაც შემოღებულია, და გაგზავნილ იქნან კაზაკები კავკასიიდან.

7. მიენდოს სამღვდელოების რწმუნებულთ, რათა იქონიონ მოლაპარაკება დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის შესახებ არსებულ ორგანიზაციების კავშირებთან სამღვდელოების ნივთიერათ დაკმაყოფილების შესახებ მრევლის მიერ; იქმნას დანიშნული მინიმუმი და მაქსიმუმი ჯამაგირებისა და მიიღონ ყოველი ზომა ამ საკითხის პირველ იანვრამდე ასე თუ ისე გადაწყვეტისა, რაიცა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს სამღვდელოებას.

8 დეკემბერს. იმერეთის სამღვდელოება მტკიცეთ ადგია თავის დადგენილებას მომადარს მე-46 კრებაზედ შესახებ ეპარქიალურ სასწავლებლის დროებით დაკეტვისა. იმ დადგენილებაში აღნიშნული პიროებებით. მასწავლებლებს მოესპოს ჯამაგირების ძლევა მომავალ 1906 წ. ივანვრის პირველ რიცხვიდან. მიღებულ იქმნას ზომები, რომ სასწავლებლის ქონება ფულები, რომელიც იკრიფებოდა 902 წლიდან კრებულზედ წელიწადში თითო თუმანი დაუყონებლივ დაებრუნდეს სამღვდელოებას კუთნილებისაებრ. თუ ვინიცობაა მოწვეული მშობლებმა ისურვონ ხსენებულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, თითონ მათ შეინახონ სასწავლებელი, ისე კი, რომ არაფერი მოაკლდეს ძირითადი ხელფულებელ თანხას %-თურთ

გამოეცხადოს ქუთაისის გუბერნატორს, ბ. სტაროსელსკის, იმერეთის სამღვდელოების ერმენი მადლობა იმ ადამიანურ და სამაგალითო ღვაწლისთვის, რომელიც მან დასდო ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთ ამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს.

6 დეკემბერს. დაუყონებლივ ეცნობოს მთელი ეპარქიის სამღვდელოებას, რომ დღეიდან უკლებლივ აძლიონ მედავითნეებს ყოველივე შემოსავლის მესამედი ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი საამხანაგო სამართალში იქმნენ მიცემულნი.

გაზეთებისაგან დაზარალებულ გურულთა სასარგებლოთ შეკრებული ფულები.

ამ ხანებში დაზარალებული გურულთა სასარგებლოთ ქუთაისში და მის ახლომახლო სოფლებში იკრიბებოდა სხვადასხვა პირების მიერ ფულები, რომლებიც ქვემო ჩამოთვლილმა პირებმა გადმომცეს მე დანიშნულები ადგილ გასაგზავნათ და შამომწირველთა სიების გაზეთებში გამოს ცხადებლათ. ვასრულებ რა გადმომცემთა მოთხოვნილებას, ვაცხადებ „სოციალდემოკრატიულ ფურცელში“ მათ ვინაობას და მათმიერ გადმოცემული ფულის რაოდენობას. ხოლო რაც შეეხება შამომწირველთა სიებს, ისინი გაგზავნილი მაქვს თფილისის გაზეთებში და, ალბათ, ისინი გამოაცხადებენ.

აი ფულების შემგროვებელთა და გადმომცემთა სია:

1. ბირიან რუსეიშვილი, ნ. მგალობლიშვილი და კ. ცაგარლისაგან (სიით № 2) 127 მ. 20 კ.
2. გ. ზაზეიერ კუხიანიძე, გ. ცაგარელი, პ. ბიბილეიშვილი და ი. ტურკოვისაგან (სიით № 1) 53 მ. 68 კ.
3. ივანე კაჩუხოვისაგან (სიით № 6) 115 მ.
4. ვარლამ ბურჯანაძის და ისპილ გოგოლაშვილისაგან (სიით № 12) 28 მ. 30 კ.
5. მ. რუსეიშვილისაგან (სიით № 14) 54 მ. 60 კ.
6. ვ. ბურჯანაძისაგან (სიით № 17) 10 მ. 67 კ.
7. მისგანვე (სიით № 18) 16 მ. 20 კ.
8. ბიქტორ ახვლედიანისაგან ქუთაისის მოსაბახურე ფარმაცევტებში შეგროვილი 24 მ 75 კ.
9. მისგანვე მივიღე მოსამსახურე ფარმაცევტებისა და მაფთიაქეებში შეგროვილი საბა კლდიაშვილის გვირგვინისათვის, რომლის გაკეთება არ მოესწრო . . 15 მ.
10. ვასილ გოგოლაძისგან — ალოლქო სასამართლოს მოხელეთა შორის შეგროვილი . 30 მ. 20 კ
11. იოსებ პატარიძისგან — სიმონეთის და ჭოგნარის რაიონებში შეკრებილი. . . . 54 მ. 91 კ.
12. თეოფილე შველიძისაგან — (სახაზინო პალატ. შეგ.) 36 მ. 36 კ.
13. ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთა შორის შეკრებილი . . . 28 მ.
14. პიპინია მიქელაძისაგან — სოფ. სალხინოში შეკრებილი . 13 მ.

სულ 610 მ. 87 კ.

ზემორე აღნიშნული ფულიდან 476 მან. 43 კ. უკვე გაეგზავნა ოზურგეთში ამ ფულების გამნაწილებელ ბიუროს ალ. მითაიშვილის ხელით, ხოლო დანარჩენსაც პირველი შემთხვევისათანავე მივაწვდი ბიუროს. გურულების სასარგებლოთ შემდეგშიაც მივიღებ ფულებს ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“-ში

ასტაფორ გვაცარიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ლორთქიფანიძე.

განცხადება.

Слѣдующее общее собраніе **гг. членовъ Кутаисскаго отдѣленія Всероссійскаго Союза учителей** назначается на 18 декабря с. г. съ 10 час. утра въ Реальномъ училищѣ

Предметы занятій: 1) утвержденіе мѣстнаго устава; 2) перебаллотировка составв Бюро и делегатовъ на второй Всероссійскій съѣздъ учителей.

ჟურნალ-გაზეთების ხელის-მოწერა 1906 წელს

საჟურნალოდ

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“-ში, რომელიც დაარსებულია იმ მიზნით, რომ გაუადვილოს მკითხველებს ჟურნალ-გაზეთების გამოწერა მთელ გუბერნიაში, ვიღებ ხელის მოწერას როგორც თფილისის, ისე სატახტო ქალაქების გამოცემებზე. ხელის მომწერნი რედაქციებში ფულის გასაგზავნს ადარ იხდიან. კანტორა აწარმოებს აგრეთვე გაზეთების გაყიდვის საქმეს, როგორც კანტორაში, ისე გამყიდველების საშვალებით ქუჩებში. ყველანაირი გაზეთები იყიდება იმ ფასებში, რაც ზედ არის აღნიშნული.

ისიდორე კვიტარიძე.

სადღესასწაულო წიგნები

ქალაქის ბაღში ქუთათურ წიგნების გამომცემელ ამ ანაგობის კიოსკში 19 დეკემბრიდან განახლდება ვაჭრობა განსაკუთრებით სოციალდემოკრატიულ და საპოლიტიკო ეკონომიურ წიგნებით. მივიღეთ მრავალი წიგნები „ბურჟეზეტნიკის“, „დონსკაია რეჩის“, „ობრაზოვანიეს“, „ნოვაია ზარიასი“ და სხვების.

კიოსკის გამგე ვ. გადილია.

ქალაქის თეატრი.

ორშაბათს, 18 დეკემბერს

ქუთაისის ქართული წამომადგენების მმართველი ამხანაგობის დასის მიერ

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის

მონაწილეობით

გახმოვანებული იქნება ცნობილი პიესა

ქანი და მადლენა

დრ. 5 მ. მირბოსი, თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გამყრელიძე, დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ურბნელი, ლალიაშვილი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ა. ულაძე, ამაშუკელი, ბაქრაძე, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, მურუსიძე, შალიკაშვილი, ჯვარისელი, შოთაძე, შავრელი.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

---

*) ამორჩეულია უფრო საზოგადო ხასიათის რეზოლიუციები.

ქუთაისი. ელექტრონით სწრაფ ბეჭდავი ი. ვილაძის და ი. სულაძისა, ჯუმბინის ქუჩა, ბანკის შენობაში.